1889 წელსა, № 5 15 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება საქართველოს საეკლესიოსა.

მიწერილობა პალესტინის მართლ-მადიდებელი საზოგადოების თავსმჯდომარისა საქართველოის ეკლესიის, მთავარ-ეპისკოპოსის პალადისადმი 9 იანვრიდგან 1889 წ. № 56.

უწმიდესი სინოდის უქაზით პალესტინის მართლმადიდებელს საზოგადოებას, რომლის თავს-მჯდომარეთ მე თვი თონ ვარ, ნებადართული აქვს ყოველ წლობით ფული მოაგროვოს იმპერიის ყველა ეკლესიებში ბზობის დღეს. ეს ფულები, რომლებიც შეადგენენ საზოგადოების უმთავრეს საშუალებას, იხარჯება იერუსალიმში სკოლების შესანახავად, რომლებშიაც იზრდება დღეს რვაასი მართლმადიდებელი ბავშვი. გარდა ამისა უფლის ცხოველ მეოფელის სასაფლაოს თაყვანის მცემლებზე რუსთაგან ზრუნვამ მოითხოვა ახალი სასტუმროების აგება, და აგრეთვე განსაკუთრებითი დიდი შენობის აგება, ახალს გახსნილს საჯვარო გზაზე, როგორც ერთადერთს რუსეთისადმი კუთვნილს ადგილზე წმ. ქალაქში, აღდგომის ტაძრის მახლობლად. ამ შენობების აღსაგებად საჭიროა დიდ ძალი ფული.

რადგან ბზობის დღესასწაული მოახლოვდა, ამიტომ მოვმართავ თქვენს მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობას თხოვნითა, რათა მოახდინოთ ხელახალივე განკარგულება თქვენდამი რწმუნებულ ეპარქიაში, რომ ყველა მღვდელ-მოქმედების დროს ამ დღესასწაულზე 1889 წელსა შეკრიბონ ფულები, თანახმად ჩემმიერ დამტკიცებულის და ამასთანავე წარმოდგენილის წესდებისა და აგრეთვე— რადგან წარსულს წელში ძლიერ ცოტა შეგროვდა ამ გვარი შეწირულება, თქვენი მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობა მიაქცევს ეურადღებას ამ გარემოებას და შთააგონებთ თქვენდამი რწმუნებულს სამღვდელოებას, რომ ძათ ფულების შეკრების დროს გახუმარტონ მრევლთა როგორც მიზანი, აგრეთვე მნიშვნელობა ამ საზოგადოების მოღვაწეობისა.

საჭირო ხელწარწერანი ლანგართათვის, დაბეჭდილნი მოძღვრებანი და საუბარნი ხალხში უფასოდ დასარიგებლად იგზავნება თქვენს სახელზე.

მივანდობ რა ჩემს თავს თქვენს ლოცვა კურთხევას, დავშთები გულწრფელად თქვენდამი კეთილ-განწყობილი **ს ე რ გ ი.**

პალესტინის მართლ-მადიდებელი საზოგადოების სასარგებლოდ ბზობა დღეს გროვდება ფული შემდეგის წესით:

1) ამ შეწირულებათა შეკრება მღვდლებმა წინდაწინვე უნდა შეატყობინონ სამწყსოს ეპარქიალურ უწყებათა საშუალებით და მასთან უნდა გაავრცელონ ეპარქიაში, მოძღვრებანი, საუბრები და ხელწარწერანი ლანგართათვის.

2) შეწირულებანი უნდა შეკრიბონ ეკკლესიების წინამძღვრებმა და სტაროსტებმა ბზობის დღესასწაულის ყველა მღვდელ-მოქმედებაზე, წირვაზე, სახარების წაკითხვის შემდეგ, ხოლო მწუხრის და ცისკრის დროს მეექვსე ფსალმუნის შემდეგ.

3) ერთი კვირის წინად ამ შეწირულებათა შეკრებამდე სამწყსომ ქადაგების საშუალებით უნდა გაიგოს ამ შეწირულებათა მნიშვნელობა და მიზანი, გარდა ამისა ტაძრის კარებზე წინდაწინვე უნდა გაეკრას მოწოდება ამ შეწირულებათა შესახებ.

4) მეათედი ნაწილი ამ შეწირულებათა შეიძლება გადაეცეს ადგილობით სამრევლო სამზრუნველოთა სასარგებლოდ ანუ სამრევლო საქველმოქმედო საზოგადოებათა, თუ კი ესენი მოიაურვებენ ამას.

ნამდვილია: მდივნის მაგიერ ი. კიკნაველიძე.

შევამოწმე: სტოლის უფროსის მაგიერ მესხიევი.

შენიშვნა: ეს მიწერილობა იბეჭდება საქართველო—იმერეთის სინოდალნი კანტორის განკარგულებით საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ საექსარხოსოს სამღვდელოთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1889 წელსა, № 5 15 მარტს.

მწყემსი

1883-1889

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

«მწყემსი»		«მწყემსი» რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	5 მან.	12 თვით . . .	6 მან.
6 — . . .	3 —	6 — . . .	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Квирилы, Въ контору редакціи „Мцкемси" (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატეია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

მუნ შეეშინა შიშისა, სადა იგი არა იყო შიში. *)

(ფსალმუნი დავითისა 13—5).

(ორიოდე სიტყვა დანოსების და მედანოსეების შესახებ)

წინა №-ში ჩვენ დაუმტკიცეთ მკითხველებს, რომ «დანოსების» წერა არის საყოველთაო მოვლენა; რომ დანოსები იწერებიან ყველგან და ყოველ ხალხში, სადაც კი უფროს-უმცროსობა არის, სადაც კი უძლურთან და სუსტთან ერთად ფართაშობს ძალა და ბატონობა, სადაც კი ჯერ ისე არ გადახალისებულა და არ შეცვლილა ცხოვრების წესები, რომ ცხვარნი და მგელნი ერთად სძოვდენ უშიშრად და ერთმანეთის მოურიდებლად. მხლა მხოლოდ მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას ამავე საგნის შესახებ დიდად პატივცემულის კიევის მიტროპოლიტის პლატონის მიერ წარმოთქმულ ბრძნულს მოსაზრებათა, რომელნიც ჩვენ ვიპოვეთ მათი მეუფების ერთ წერილში სამწყსოთადმი, რომელთაც იგი აფრთხილებს შესახებ დანოსების წერისა და თან აძლევს მათ შესაფერ დარიგებას და შთაგონებას. აი ეს მოსაზრებანი:

«ბევრჯელ მიმიღია ხელ-მოუწერელი წერილები სხვა-და-სხვა შინაარსისა: ზოგნი ბოროტებითა და ლანძღვით სავსენი, რომლების წერა სირცხვილიცაა და ცოდვაც კეთილ კაცთათვის, განსაკუთრებით ქრისტიანეთათვის და ისიც არქიერისადმი; ზოგნი წრფელნი და უბრალონი შინაარსით, რომლებზედაც ყველას შეეძლო ხელი მოეწერა თამამად, მაგალითებ, იწერებიან, რომ უფროთ იაფად ჰყიდონ სეფისკვრებიო და ზოგიერთს ეკკლესიებში ადრე ასრულებდენ წირვებსო; ზოგნი, თითქო, კეთილ განზრახვითნი, რომლებშიაც იუწყებიან სხვა-და-სხვა ცნობებს ეპარქიისა და სამღვდელოების შესახებ, და რომლებზედაც მათ დამწერთ უნდა მოეწერათ ხელი, როგორც დასამტკიცებლად, მისა, რაზედაც ისინი ლაპარაკობენ, აგრეთვე იმის-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისაც, რომ მე, საჭიროებისა და გვარ, შემძლებოდა მომეთხოვა მათგან საჭირო განმარტება მათი წერილების შინაარსისა. ამბობენ, რომ ესრეთ წერილებს იღებენ სხვა პირებიცო, განსაკუთრებით—უფროსები. ამიტომ მე ვსთვლი ჩემს მოძღვრულს მოვალეობად ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა შესაგონებლად მათდა, რომელნიც გზავნიან ესრეთ წერილებს და სახელდობრ:

1) კანონი ამბობს, რომ «დაბეზღებითი, ხელ-მოუწერელი და შეგდებული წერილებისა გამო არავინ დანიშნოს გამოძიებაო. ესრეთი წერილების მიმღები ვალდებულია, წაუკითხავად მოსპოს ისინი, ან გამოუცხადოს ამაზედ პოლიციას, ხოლო დაუსახელებელი დამწერი ესრეთის წერილისა, უკეთუ მას აღმოაჩენს პოლიცია, ეძლევა სისხლის სამართალში (კრება სჯულთა ტ. IX, V, ნაწ. 2, მუხ. 52). მაშასადამე ვინც უგზავნის სხვებს უსახელო წერილებს, იქცევა კანონის წინააღმდეგ, ამასთანავე სრულიად ამაოდ და უსარგებლოდ, რადგან ამისთანა დაბეზღებითი წერილების გამო გამოძიება არ ინიშნება და ისინი უნდა დარჩენ სრულიად უყურადღებოდ.

2) ვინც უგზავნის ხელ-მოუწერელს წერილებს სხვებს და ამ გვარად მალავს, რომ ის არ არის მათი დამწერი, ის აშკარად ამტკიცებს თავის სულმოკლეობას — ვერ ბედავს თამამად გამოსთქვას ის, რაზედაც სწერს და მოქმედებს უსინდისოდ და სწერს სიცრუეს: «რამეთუ რომელი ბოროტსა იქმს, ბრძანებს მაცხოვარი, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რათა არა ემხილნენ საქმენი მისნი (იოან. 3, 20), ვინაიდგან ბოროტ არიან იგინი». მაგრამ პატიოსანი, კეთილშობილი და მხნე კაცი თავამად აღიარებს სიმართლეს.

3) ვინც სხვას ლანძღავს ხელ-მოუწერელ წერილში და თავს კი არ იჩენს, ის მიემზგავსება კაცს, რომელიც სხვებს ესვრის ტალახს და თვით კი იმალება სადმე კუთხეში. ე. ი. იჩენს არა მარტო სიფრთხილეს, არამედ თან ბოროტებას და სულის სიმდაბლეს. ის იქცევა ქრისტეს სწავლის წინააღმდეგ, რომელიც გვასწავებს, რომ არავინ არ განვიკითხოთ და გავკიცხოთ, და მოქმედებს იმ უსჯულოთაებრ, რომელნიც, სიტყვისაებრ მოციქულისა, უფლებასა შეურაცხჰყოფენ, კადნიერნი და თავხედნი არიან, დიდებისათვის არა ჰსძრწიან, არამედ ჰგმობენ მას, რაიცა არა უწყიან და არ ესმისთ (ბ. კათოლ. ეპტ. 2, 9—12).

4) ვიტყვი უმეტეს, ვინც უგზავნის სხვებს ხელ-მოუწერელ ლანძღვითი წერილებს, ანუ თავის გამოუცხადებლად სწერს მათ გადასხვაფერებული ხელით და აწერს მათ ხელს სხვისი მოგონილი სახელით და მათში განგებ სიცრუეს ამბობს, ანუ გამოჰყავს ჭეშმარიტებათ ის, რაც თვითონ ნამდვილად არ იცის, «იგინი მამისა ეშმაკისანი არიან».

5) თუ გსურს კეთილის განზრახვით შეატყობიო რამე სხვას, ანუ მიაქციო მისი ყურადღება მისსავე საკუთარს ცუდს საქმეზე, მაგრამ არ გინდა კი მოხდეს ეს საჯაროდ, ამ შემთხვევაში მოიქეცი მცნებისა ებრ ქრისტესა, რომელიც გვიბრძანებს: «ხოლო უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მასს, რა ჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი» (მათ. 18, 15). თუ შენ რაიმე მიზეზისა გამო არ შეგიძლია ინახულო ის მოსალაპარაკებლად, მისწერე მას წერილი—გულ ახდილად და კეთილ განზრახვით, როგორც შვენის ქრისტიანეს და ამასთანავე სთხოვე მას ამ წერილშივე, რომ მან არ გაამჟღავნოს შენი სახელი. არა მგონია, რომ ვინმემ იწყინოს ესრეთი წერილი და არ აღასრულოს მან შენი თხოვნა.

6) რადგანაც მე მსურს ვიცოდე ყოველივე, რაც კი ხდება ჩემდამო რწმუნებელი ეპარქიის სასულიერო წოდებაში, რათა თავის დროზე შევიძლო ვიხმარო საჭირო ზომები ბოროტების მოსასპობლად, ამიტომ ვსთხოვ ყველა კეთილ-საიმედო პირთა დაუფარავად მაცნობონ ყველაფერი, რასაც კი საჭიროდ სთვლიან ისინი ვიცოდე საკეთილოდ ეპარქიისა და სამღვდელოებისა; მაგრამ შემატყობიონ მხოლოდ ნამდვილი და სრული ცნობები ხელ-მოუწერელი წერილებით კი არა, არამედ სრულის ადრესით, სადაც აღნიშნონ წოდება, სახელი, გვარი და საცხოვრებელი ბინა. ვარწმუნებთ, რომ არავის არ გაუმხელ მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელსა და გვარს. თუ მაინცა-და-მაინც სურთ, რომ მათი ვინაობა არავინ შეიტყოს, და აღვასრულებ და გავასწორებ ყოველივეს მათი ჩვენებისაებრ, რაც კი ჯეროვანი გამოძიების შემდეგ ნამდვილი აღმოჩნდება.

7) განსაკუთრებით თქვენ, მღვდლებო და ბლაღოჩინებო, უმახლობელესნო ჩემნო თანამშრომელნო ჩემს სამსახურში, ნუ დამიმალავთ მე მას, რაც უნდა ეცოდეს, როგორც მღვდელთ-მთავარმა შესახებ ეკლესიათა, კრებულთა და სამრეველოთა შესახებ, მაგრამ დაუფარავად მაცნობეთ ყველაფერი და არ იფიქროთ, რომ ამით რამე გევნოსთ თქვენ, ანუ სხვებს: ვინაიდგან მე მსურს შევიტყო ჩემი ეპარქიის ავი და კარგი, მხოლოდ ბოროტების მოსასპობლად და არა ვისმეს სავნებლად. ყველაფერი მომახსენეთ ხოლმე ჩვეულებრივი ხელ მოწერილი რაპორტებით არა უსახელო წერილებით, რომლებიც არცხვენენ ყველას, ვინც მათ სწერს და მით უმეტეს არ შეშვენის სამღვდელოთა, რადგან ამ წერილებში იხატება მზაკვრობა და ცხადი ცულლუტობა, ხოლო სასულიერო პირნი უნდა იქცეოდენ ყველაფერში, მაგალითისა ებრ მოციქულთა, კეთილ სვინდისიერად და პატიოსნად, სიწრფოებითა და ჭეშმარიტებითა.

თუმცა ღრმად პატივცემული მიტროპოლიტი ღირსეულად აძაგებს და ჰკიცხავს მალულ «მედანოსეებს» სულმდაბლობისათვის და მშიშრობისათვის და ურჩევს მათ, რომ უსათუოდ თავიანთ «დანოსებზედ» ხელი მოაწერონ და ჭეშმარიტების ასახსნელად არავის შეუშინდენ და გამოჩენილად იმოქმედონ, მაგრამ ამავე დროს იგივე გამოცდილებით აღჭურვილი მწყემსთ-მთავარი გულით და სულით ეხვეწება ყველას, რომ მათ დაუფარავად და ერცლად შეატყობინონ ყოველივე, რაც კი დაეხმარება მათ მეუფებას ბოროტ-მოქმედების აღმოსაფხვრელად და კეთილ წარსამატებლად ეპაარქიის საქმეთა: სთხოვს მათ, რომ ამ გვარ წერილობით ცნობებზედ თავისი სრული აღრესი მოაწერონ და თან ჰპირდება მათ, რომ მათ ვინაობას იგი არ გამოაშკარავებს. აქედამ სჩანს, რომ დიდი პირებისათვის, როგორიც ბრძანდება მიტროპოლიტი პლატონი და რომელს ხელ-ქვეით მოღვაწეობენ და მსახურებენ მრავალნი დიდის უფლებებით და გაველენით აღჭურვილნი პირნი, აუცილებლად საჭირო ყოფილა წერილი ცნობები მის ხელქვეითებზედ, რათა ამათ არ ჩაიდინონ მისდა გაუგებლად რაიმე ბოროტ-მოქმედებანი. ოღონდ ხელი მოაწერეთო,—ბრძანებს მწყემსთ-მთავარი, ჯ შემატყობიეთ ყოველივე—მხოლოდ მართალი კი იყოსო. ძლიერ კეთილია მწყემსთ-მთავრის ესრეთი რჩევა იმის შესახებ, რომ მედანოსეთა მიმართონ პირველად თვით იმ პირთა, რომელნიც მათ აიძულებენ მათ უკანონო მოქმედებათა გამოაშკარავებას და სთხოვონ, რათა ისინი გასწორდენ და დასტოვონ თავიანთი ბოროტ-მოქმედებანი, ანუ იმოქმედონ ყველაფერში კანონიერად და პირუთვნელად. მიტროპოლიტი იმედოვნებს, რომ ეს პირები დიდის მადლობით მიიღებენ ამ გვარს მხილებას და კიდეეაც ეცდებიან თავიანთ უკანონო მოქმედებათა გასწორებას. ისეთი მაღალი ზნეობის და ღვთისნიერი უმაღლესი გონება-განვითარებული კაცი, როგორიც ბრძანდება მიტროპოლიტი პლატონი, რასაკვირველია, ასე იფიქრებს სხვებზედაც და მართლაც ასე უნდა იყოს,—მაგრამ, სამწუხაროდ, იმ კაცებისაგან, რომელთაც ერთხელ შეუსვრიათ ხელი ბოროტ-მოქმედებით და მიჩვეულან სხვისი კუთვნილების მითვისებას, თავის ხელქვეითი მოყვსის ჩაგვრა-წვალებას და არა წმიდა ცხოვრებას, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამისთანა მხილება გულგრილად მიიღონ, გასწორდენ და თან მადლობაც გამოუცხადონ მამხილებელთა.

რამდენათაც საზიზღარნი და გლახაკნი არიან მალული «მედანოსეები» იმდენად დამნაშავენი არიან ის პირნიც, რომელნიც თავიანთი მოქმედებით მიზეზს აძლევენ «დანოსების» წერისას. შენიშნულია, რომ იქ მრავლდებიან მედანოსეები, სადაც ბოროტ-მოქმედება შემჩნეულა.—მაგალითებრ, ქუთაისში ამ წინაზე შეიტანეს «დანოსი», ვითომც ერთმა ხაზინადარმა ხაზინის ფული ბლომათ შეჭამაო,—დაინიშნა გამოძიება—და აღმოჩნდა შეჭმული 30,000 მან;—მეორე დანოსში აცხადებდენ, რომ აქავე ერთმა ხაზინადარმა მიბარებული ფული დახარჯაო,—გამო-

ძიებით აღმოჩნდა შეჭმული 15000 მ.,—მესამე დანოსში აცხადებდენ, რომ ყალბი ტალონებით ფულები გამოაქვთ ხაზინიდამაო, აგერ რამდენიმე წელიაო,—გამოძიებით აღმოჩნდა მთელი «კამპანია», რომელსაც, მართლა, დიდი ხნის განმავლობაში ეზიდა ყალბის ტალონებით ფულები ხაზინიდამ, ამისთანა მაგალითები მრავალნი არიან Თბილისში და სხვა ქალაქებშიაც.

Ათასი დარიგებაც რომ გამოიცეს «დანოსების» წერის მოსპობის შესახებ, მაინც არა გეჯერა, რომ ამით ბოროტება მოისპოს. გსურთ, რომ მედანოსეთა ლაგამი აუდვათ?—ეცადეთ, ვინც საზოგადო და ფართო ასპარეზედ მოღვაწეობთ, თქვენი მოქმედება არ იქმნეს გარეშე კანონისა, ემსახურეთ საზოგადოებას კანონის მოთხოვნილებისაებრ, ნუ მიზდევთ პირად და წვრილმან ანგარიშებს, დაიხსომეთ, რომ ვალდებული ხართ ემსახუროთ საზოგადოებას და არა თქვენს პირადობას და თქვენი ცხოვრების ფუფუნებას; თუ ასე იქცევით, დარწმუნებული იყავით, ყოველი ლახვარი, მომართული თქვენდამი მედანოსეთაგან, სრულებით უვნებელი იქმნება და თვითონ მათ განგმირავს. Იმ ორმოში, რომელსაც თქვენ გითხრიდა მტერი უმართლოდ, თვითონვე შთავარდება და დაიღუპება...

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია».

ორიოდე სიტყვა სამრევლო სკოლებზე.

ჩვენი საქართველოს სასულიერო წოდების სახელოდ და ჩვენდა საყოველთაო სასიქადულოთ უნდა ვსთქვათ, რომ დღეს ჩვენში არც ერთი წოდება არ ზრუნავს თავის შთამომავლობის გონებრივსა და ზნეობრივს კეთილ დღეობაზე ისე ფხიზლად და გონიერულად, როგორც ჩვენი სამღვდელოება. სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს ეს მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანეში, მით უმეტეს, რომ ჩვენი სასულიერო წოდება არ მოსწყდა თვის დიდებულს საღვთის-მეტყველო წარსულს, როგორც ჩვენი ერის სხვა წოდებანი, არ უღალატა ამ წოდებამ ტრადიციულს ჩვეულებას საქმის წინამძღოლობისას და მოძღვრებისას. ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეს აიღებთ, რომ აქაურს სამღვდელოებას უწინარეს ყოველისა არ აღემართოს ტაძარი მეცნიერებისა?—Ქართლის სასულიერო წოდებას ქართლის დედა ქალაქ Ბორში აქვს თავისი საკუთარი სასულიერო სასწავლებელი, Ქახეთისას—თელავში, Იმერეთისას—Ქუთაისში, Ბურიისას ქალაქ Ოზურგეთში, Სამეგრელოსას Სენაკში. Აქედგან ხომ მოზარდი თაობა სასულიერო წოდებისა მიისწრაფებს საქართველოს დედა ქალაქს Თბილისისკენ, სადაც არსებობს მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია. Დღემდის ჩვენში არც ერთ წოდებას არ ჰქონდა და არცა აქვს ასე სასურველად და მშვენიერად დაყენებული საქმე სწავლა-განათლებისა, რორგორც ჩვენს სასულიერო წოდებას. Ამ გვარის საქმის შედეგიც კეთილ-ნაყოფიერია. რომელ წოდებას ჰყავს შედარებით ჩვენში იმდენი, ნასწავლი თუ არა, ზედ მიწევნით მცოდნე მაინცა წერა-კითხვისა ახალ თაობა, რამდენიც სამღვდელოებას?

ჩვენის სასულიერო წოდების სახელოდ ესეთ წოდებულის მამა-პაპათ სათნოებათ ისტორიულის გარდამოცემის კვალი უფრო ბევრი ამჩნევია ამ წოდებას, ვიდრე ჩვენს «სახელოვანს» თავად-აზნაურობას. დიახ, ამ მხრივ თავად აზნაურობა მეტად დაბლა სდგას სასულიერო წოდებაზე ჯერ-ჯერობით, თუმცა თავადაზნაურობამაც კი ნელ-ნელა იწყო თვალების ფშვნეტა—აგერ სათავად-აზნაურო სკოლები! უფრო ბევრი მოეთხოვება თავად-აზნაურობას. Ამ ორ წოდებათა მეოხებით მთელი საქართველოს ერი შეიქმნა მხნეც და მჭიდროთ შეერთებულს ჯვაროსანთა მხედრობათ. Ეი ამ ძლევა-მოსილს ჯვაროსანთა მხედრობას შეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლა თავი აზიის მძვინვარე ისლამმა, როგორც ამბობს პატივცემული მარკოვი, და თავისი ინსტიკტი დარღვევისა და მუსრისა ველარ განაგრძო ევროპისაკენ. რას ბრძანებთ! ამ გვარი საისტორიო წოდება, როგორიც თავად-აზნაურობაა, ასეთ ყოფაში უნდა იყოს, როგორშიაც დღეს არის!.... სასულიერო წოდება ჩვენში სამრევლო სკოლებსაცა ხსნის, გზის დალოცვის მეტი რა ეთქმის ამ გვარ ხალხს?! დღეს, ხვალ და მთელი წოდება ამოუდგება კვალში სამოქალაქო ზრდას. ძაცობრიობის აზრიც ასე იზრდებოდა. ჩვენში სასულიერო წოდებას დიდი მერმისი მოელის. აი საიდგან იბადება ის სასოება, რომ დიდებული ქართული ღვთის-მეტყველება აღსდგება ჩვენში, წარმოდგება საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რომლის ბედიც სასულიერო წოდების ხელშია.

სამრევლო სკოლა! სახუმრო საქმეა? სამრევლო სკოლები ჩვენში დიდი ხანია არსებობდნენ. ძველს დროში თითქმის ყველა მღვდელს ჰქონდა ეკკლესიასთან დაარსებული სამრევლო სკოლა. მოიგონეთ სამრევლო სკოლა რუსთაველისა, სადაც დიდებულმა შოთამ მიიღო პირველ დაწყებითი სწავლა, მესხეთში ტბეთის სკოლა. თითქმის ყველა ჩვენი სახელოვანნი მწერალნი პირველ დაწყებითს სწავლას სამრევლო სკოლებში იღებდნენ. არა ერთი და ორი დიდებული კაცი შესძინა სამშობლოს სამრევლო სკოლამ. უპირველესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ ჩვენი სამრევლო სკოლა ეროვნული დაწესებულება იყო, სადაც ქვაკუთხედი სწავლა-აღზრდისა სამშობლო კულტურა იყო. მოზარდთა აღზრდა გონებრივი და ზნეობრივი თანამედროვე პედაგოგის აზრით იმაში მდგომარეობს, რომ სამშობლო კულტურის შემწეობით მოზარდმა შეიგნოს საკაცობრიო კულტურა. აი უკანასკნელი აზრი მეცნიერებისა. ჩვენში სახელმწიფო ენისა და კულტურის შესწავლა მხოლოდ სამშობლო კულტურის შესწავლით შეიძლება. უამისოდ ყოველად შეუძლებელია ჩვენში ფეხი მოიკიდოს ცივილიზაციამ რუეთისამ. ჩვენი მღვდლები ამ აზრით სახელმძღვანელობდენ, როცა სამრევლო სკოლებსა ხსნიდნენ. ამიტომ ჩვენს მღვდლებს მოვაგონებ, რომ ისინიც დღევანდელ დიდ საქმეში იმავე აზრით იყვნენ გამსჭვალულნი, როგორც ჩვენი წინაპრები. ამიტომ სასურველია, რომ სამრევლო სკოლებში არა თუ მარტო სამშობლო ენა იყოს საკლასო, საგნებრივ ენად, არამედ ადგილობრივს ბუნებას საზოგადოდ უმთავრესი ადგილი ეჭიროს. დარწმუნებული ვარ, რომ სამრევლო სკოლის მმართველებს ჩემზე კარგად ესმით, რომ ეს საქმე ასე უნდა იყოს დაყენებული. ამიტომ აქ საჭიროდ ვრაცხ აღვნიშნო, როგორ უყურებს ამ საქმეს თვით საკაცობრიო მეცნირება და რუსეთის პედაგოგია კერძოთ.

რუსეთის უხუცესი პედაგოგი ცხონებული უშინსკი დიდ მნიშვნელობას აძლევს სამშობლო ენას და საზოგადოდ სამშობლო ბუნებას ბავშვების აღზრდასწავლებაში. ერთ ადგილას იგი ამბობს, რომ უნდა ვეცადნეთო, რათა სკოლა შეიდეს ბავშვის ცხოვრებაში მისდა შეუნიშნავად, რომ სკოლამ მიიღოს თვის განკარგულებაში ბავშვის სულის და გულის მოძრაობა, რომ სკოლა იყოს ხელმძღვანელი იმის აღორძინებისა, რაც ბავშვისთვის მიუცია ადგილობრივს ცხოვრებას და სხვა ენაზე ლაპარაკი ბავშთან ხომ შეაჩერებს ბუნებითს ზრდასაო. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ადგილობრივი ბუნება, სამშობლო ენა, უნდა შეადგენდეს სამრევლო სკოლის სულსა და გულსა. ამ აზრით განსასურათებლად მოვიყვან აქ რუსეთის მეცნიერის ვესელის აზრსა. ერთსა და იმავე შინაარსზე აშენებული საკლასო წიგნი ყველა ხალხის სკოლებს ვერ დააკმაყოფილებსო, თუ ხალხს არ ვასწავლეთ მის ენაზე, მაშინ ჩვენ ვაფერხებთო ხალხის გონებრივს აღორძინებას, ვულახავთ მთელს მისს სულიერს აგებულებასაო, ბრძანებს მეცნიერი ვესსელი. მივმართოთ ახლა ამავე საგანზე ევროპის მეცნირებასა.

დიდებული პესტალოცცი თავის უკვდავს «ლინგარდ და გერტრუდაში» აი რა საყურადღებო რამეს ამბობს ჩვენის მსჯელობის საგნის თაობაზე: «სიტყვა არის ყოველივე შთაბეჭდილება, რომელსაც ბავშვი იღებს ადგილობრივი ბუნებიდგანაო, ჩვენებურად რომ ვსთქვათ, ასე გამოდის: ბავშვი არის ღვიძლი შვილი ადგილობრივ პირობათა, მაშასადამე ისე უნდა აღი-

ზარდოს ბავშვი, როგორც მას ბუნება ზრდიდა, იმ ენაზე უნდა ელაპარაკო, რა ენაზედაც გაეხსნა მას მეტყველება. Cნობილი მეცნიერი რიხტერი აი, სხვათა შორის, რას ამბობს: «სკოლისთვის საკითხავი წიგნი უნდა იყოს შემდგარი ხალხის სულიერის საუნჯედგან, სახალხო ზღაპარი, სახალხო სიმღერა, ანდაზა და მოთხრობა უნდა იყოს წიგნის შინაარსიო. Aმ აზრს რაღა განმარტება ეჭირება?

ბათუმის სკოლის მასწავლებელი მ. ნათაძე.

1889 წ. მარტის 5-ს.



წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით განგვიმარტო სამღვდელოებას ერთი საეჭვო კითხვა, რომელიც არა მცირე უთანხმოებას ახდენს ზოგიერთ სამღვდელო პირთა შორის.

Aი საქმე რაში მდგომარეობს. მე ვარ აღრჩეული მთელი ჩვენი საბალოჩინო მაზრის სამღვდელოთაგან მოძღვრათ-მოძღვრად. Aმ ჩემს მოვალეობას, აგერ ორი წელიწადია, ვასრულებ შეძლებისაებრ. Yოველ წლობით ჩემთან ამბობენ აღსარებას როგორც მღვდლები, ისე მათი შვილები. Mაგრამ ჩემდამო რწმუნებულის სამღვდელოების შვილებს ჯვარის წერის დროს ჩემგან არ მიაქვსთ ჯეროვანი მოწმობანი, რომ მათ ჯვარის წერისადმი არავითარიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვსთ. ჯვარის დამწერელი მღვდლებიც საჭიროდ არა სთვლიან ამ გვარ მოწმობათა. Bევრმა არ ვიცით, რამდენად კანონიერია სამღვდელოების ამ გვარი მოქმედება მათი მოძღვართ-მოძღვრისადმი და ამიტომ განგვიმარტე შემდეგი: მღვდლის ოჯახში რაიმე მღვდელ-მოქმედების შესრულება კეკუთვნის მათ მოძღვარს, თუ სხვა მღვდელს, რომელსაც ეი ისურვებენ და მოუწოდებენ?

მღვდელი იოსებ გიორგაძე.

Yოველი მღვდელი მტკიცედ უნდა ადგეს და ასრულებდეს ეპარქიის მწყემსთ-მთავრის ყოველივე განკარგულებას. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ იმერეთის ეპარქიაში მისი ყოვლად უსამღვდელოესობის Iმერეთის ეპისკოპოსის Bაბრიელისაგან მიწერილი აქვს სამღვდელოებას, რომ მღვდლების გასათხოვარ ქალებს ჯვარი დასწერონ ან მათმა მოძღვართ-მოძღვარმა და ან ადგილობითმა ბლაღოჩინმა. მოწმობებიც ჯვარის წერის შესახებ მღვდლის შვილებმა, რომელნიც სასულიერო უწყებაში მსახურებენ, უნდა აიღონ ან ადგილობითი მღვდელ-მთავრისაგან და ან ბლაღოჩინისაგან. Aმ გვარ განკარგულებას ეპარქიის მთავრობისას ყოველი სამღვდელო პირი მტკიცედ უნდა აღსრულებდეს.

ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი მღვდლები თვითონ ასრულებენ ხოლმე გვირგვინის კურთხევას თავის გასათხოვარ ქალებზე. მართალია, მღვდელს საჭიროების დროს, ე. ი., როდესაც სხვა მღვდელი არ იშოვება, შეუძლია რომელიმე საიდუმლო შეასრულოს თავის შვილზე, მაგრამ როდესაც ამისთანა საჭიროება არ არის და სხვა მღვდელიც ადვილი საშოვნია, რასაკვირველია, მღვდლებმა არ უნდა შეასრულონ თავიანთ-შვილებზე საიდუმლოები.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის ნაწარმოებთა

კავკასიის გამოფენა

1888 წელში.

გამოფენის წესები და პროგრამა.

წესები.

1) კავკასიის გამოფენა სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის ნაწარმოებთა გაიმართება ქალაქს თბილისში 10 ენკენისთვეს 1889 წ. და დაიხურება 20 ღვინობისთვეს *).

2) გამოფენა შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან: განყოფილება I. მიწა-მოქმედების ნაწარმოები.

» II. ბაღოსნობა და მებოსტნეობა

» III. მეღვინეობა.

» IV. მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.

» V. რძის და პირუტყვი საქონლის ნაწარმოები.

» VI. მეტყეობა.

» VII. მეთევზეობა.

» VIII. სამეურნეო იარაღები და მანქანები.

» IX. საშინაო, სახელოსნო და საქარხნო მრეწველობა.

» X. მთისა.

» XI. საპედაგოგიო—პროფესიონალური.

3) გამოფენის გამართვა, გამოფენისათვის წარმოდგენილი ნაწარმოების მიღება და უკან დაბრუნება და საზოგადოდ რაც გამოფენას შეეხება, სულ-გამგე კომიტეტის მოვალეობას შეადგენს.

4) ექსპონენტებათ შეუძლიანთ იყვნენ მხოლოდ კავკასიის და კასპიის იქითა მხრის ოლქის მკვიდრნი.

*) ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მთავარ-მმართებლის ნება დართვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგიერთს განყოფილებაში, რომლების დაარსებას ნზრადა აქვს გამოფენაზედ დამსწრე საზოგადოებას გააცნოს ეხლანდელი გაუმჯობესებული ტექნიკა და გაუგეოესებული ნაწარმოები მრეწველობის რომელიმე ნაწილისა, შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ და ექსპონენტებათ იყვნენ სამზღვარ გარეთელი და რუსეთის ფირმები; ხოლო ამათთაგანს საჩუქარი დაენიშნებათ მარტო სამეურნეო იარაღებს და მანქანებს, დანარჩენი უცხოელი ნაწარმოები-კი კონკურსს გარეშე იქნებიან და ჯილდოს დანიშვნის დროს მხედველობაში არ იქნებიან მიღებულნი.

5) იმ პირთა, რომელთაც ჰსურთ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ, უნდა მიჰმართონ გამგე კომიტეტს თავიანთი განცხადებით და მასთან დართული ფაქტურებით, რომლების ნიმუშები ამავე წესებთან იბეჭდება, არა უგვიანეს 15 მარიამობისთვისა, ხოლო გამგე კომიტეტის აგენტებს-კი უნდა მიჰმართონ არა უგვიანეს 1-ი მარიამობისთვისა.

6) გამგე კომიტეტის აგენტებად არიან ყველა მაზრების უფროსები და სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლების მასწავლებელნი, აგრეთვე პოსრედნიკები, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და აქციზის მოხელენი და მეტყეველები.

7) დათვალიერება და მიღება ნაწარმოებთა, რომელნიც გამოფენისათვის არიან დანიშნულნი, მოხდება ხოლმე გამგე კომიტეტისაგან დანიშნულ დღეებში. კომიტეტს უფლება აქვს, როგორც განცხადების მიღების შემდეგ, აგრეთვე თვით ნაწარმოების მიღების შემდეგაც, უარ-ჰყოს და არ მიიღოს იგინი, თუ არ ეთანხმებიან გამოფენის პროგრამის მოთხოვნილებას. ის ნივთები (ნაწარმოებნი), რომელნიც ცოტა ხანში ფუჭდებიან, აგრეთვე იმ ადგილებიდან გამოგზავნილნი, რომელნიც შორს იმყოფებიან, მიიღებიან გამოფენაზედ გამოფენის გახსნის წინა დღეს, და ზოგიერთ განსაკუთრებითს შემთხვევაში, გამოფენის გახსნის შემდეგაც, ხოლო იმ პირობით-კი, ამის შესახებ თავის დროზედ და წესისა მებრ აცნობებენ კომიტეტს.

8) ნაწარმოებთა გამოფენაზედ გამოგზავნა, აგრეთვე მათი უკან წაღება, ექსპონენტის ხარჯით მოხდება.

9) ნაწარმოებთა რიგზედ მოყვანისათვის და დაბინავებისათვის ექსპონენტებს უფასოდ დაეთმობა შესაფერს განყოფილებაში ადგილი და ყაფაზები კომიტეტისა გადაწყვეტილებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ის ექსპონენტები, რომელნიც გამოფენაზედ საქარხნო მრეწველობის ნაწარმოებს წარმოადგენენ, თავიანთი ნაწარმოებისათვის თავიანთსავე ხარჯით ააგებენ შენობას, ხოლო გადაიხდიან ადგილის ფასს კომიტეტის გადაწყვეტილებით.

10) ზზ. ექსპონენტები, რომელთაც ჰსურთ თავიანთი ნაწარმოებისათვის საკუთარი შენობების ანუ საწყობების აგება, თავის დროზედ ატყობინებენ ამას გამგე კომიტეტს და წარმოადგენენ ამ შენობის გეგმას და გადაიხდიან ადგილის ფასს კომიტეტის გარდაწყვეტილებით.

11) საპედაგოგიო და საპროფესიონალო განყოფილება, რომელიც განსაკუთრებით საპროფესიონალო და სასოფლო სკოლების მოწაფეთა საშინაო და სახელოსნო ნაწარმოებისაგან შესდგება, მოთავსებული იქნება კერძო პავილიონში და ადგილის ფასი არ გადაეხდევინებათ.

12) ექსპონენტებისათვის დანიშნული ადგილების ჩვენება დაევალება გამგე კომიტეტს, რომელიც მიღების ბარათებს აძლევს. თუ ექსპონატების (ნივთების, ნაწარმოების) დალაგება კერძო ხარჯს მოითხოვს, ეს ხარჯი პატრონმა უნდა იკისროს. ექსპონენტებს შეუძლიანთ, თუ მოისურვებენ, გამართონ თავიანთი ხარჯით თავიანთი ნაწარმოებისათვის საკუთარი ყაფაზები (ვიტრინები).

13) ექსპონენტები, რომელთაც ჰსურთ გაჰყიდონ მათგან გამოფენილი ნაწარმოები, განაცხადებენ ამას წარმოდგენილს ფაქტურაში. სახელოსნო და საშინაო მრეწველობის მაწარმოებელნი მოწვეულ არიან გამოფენაზედ თავიანთი იარაღებით დაესწრნენ და ნება აქვსთ თავიანთი ნაწარმოები ჰყიდონ ამ გამოფენაზედვე.

14) ზამოფენილი ნივთების ღირსების დასაფასებლად დანიშნული იქნება ექსპერტების კომისია (დამფასებელი კომისია), რომელიც შესდგება სახელმწიფო ქონებათა მინისტრის-მიერ დანიშნული პირებისაგან; დამფასებელი კომისია დაფასებაში მონაწილეობის მიღებისათვის მიიწვევს თვისი ამორჩევით სპეციალისტებს, რომელთაც კომისიაში მხოლოდ რჩევის ხმა ექნებათ და არა კენჭისა.

15) ექსპერტების კომისიის მოვალეობას შეადგენს გამოფენილი ნივთების ღირსების დაფასება და ამ დაფასების დასაბუთებული ანგარიშის შედგენა. როგორც გამოფენილი ნივთების დაფასება, აგრეთვე ამის ანგარიშიც უნდა დაბოლოვდეს 1890 წლის 10 ღვინობისთვეს.

16) ჯილდოს დანიშვნა, დამფასებელი კომისიის ოქმის თანხმად და კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წარმომადგენელის წარდგენილობით, ეკუთვნის კავკასიის სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტს.

17) ექსპონენტების დასაჯილდოებლად ინიშნება შემდეგი საჩუქრები: მედლები—ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი, საპატიო დიპლომები და ქების ფურცლები.

18) ზამოფენა გახსნილი იქნება ხალხისათვის ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 6 საათამდე. ზამოფენაზედ შესასვლელი ფასი პირველ 3-ს დღეს 1 მანეთია, კვირაობით 10 კაპ., დანარჩენ დღეებში 20 კ. მთელი სეზონის ბილეთი ღირება სულზედ 3 მან. ყოველი სასწავლებლის მოწაფეთა, რომელნიც გამგე კომიტეტისაგან დანიშნულს დღეებში თავხანთი მასწავლებლებითურთ გასინჯავენ გამოფენას, შესასვლელი ფასი არ გადახდებათ.

19) ზამგე კომიტეტს მინდობილი აქვს, თუ შესაძლებელი იქნება, საღამოობითაც გამართოს გამოფენის დათვალიერება, საღამოს 7 საათიდგან 12-მდე, ელექტრონის განათებით, და თითო სულზედ 50 კაპ. გადაახდევინოს

20) ზამოფენის დროს გამგე კომიტეტისაგან დანიშნულს დღეებში, სხვა-და-სხვა განყოფილებაში მუშაობით აჩვენებენ ხალხს და განმარტებენ სხვა-და-სხვა იარაღებს და ტეხნიკურს მოწყობილებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გამგე კომიტეტი, თუ შესაძლებელი იქნება, გამოსცდის სამეურნეო იარაღებს.

21) საჩუქრების დარიგება საქვეყნოდ მოხდება ერთ-ერთს დღეს გამოფენის დროს და ეს დღე თავის დროზედ გამოცხადებული იქნება ადგილობრივს გაზეთებში.

22) ბამოფენის დახურვის შემდეგ სამი დღის განმავლობაში ექსპონენტებს უკან უბრუნდებათ მათი ექსპონატები, აგრეთვე გამოფენაზედ გაყიდული ნივთები მიეცემათ მყიდველებს. ამ ვადამდის გამოფენილი ნივთების წაღება გამოფენიდგან არ შეუძლიანთ არც ექსპონენტებს, არც იმ პირთ, რომელნიც იყიდიან მათ.

Oუ გამოფენის დახურვის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში პატრონები არ ჩაიბარებენ თავიანთ ნივთებს და ნაწარმოებს, კომიტეტი მათს შენახვას არა კისრულობს.

23) ბამგე კომიტეტის მოვალეობას ეკუთვნის გამოფენილი ნივთების კატალოგის გამოცემა.

24) კავკასიის სამეურნეო საზოგადოება კისრულობს ერცელი და დაწვრილებითი გამოფენის აღწერის შედგენას და ამ აღწერას დაურთავს ყველა იმ ცნობებს, რომელთაც ექსპონენტები გამოუგზავნიან, და აგრეთვე ექსპერტების კომისიის ანგარიშებსაც იმ საბუთებითურთ, რომლებითაც ექსპერტები იხელმძღვანელებენ გამოფენილი ნივთების დაფასებაში. ყველა ეს, ექსპონენტების სია და გამგე კომიტეტის ფულის ანგარიში დაბეჭდილი იქნება.

(გაგრძელება იქმნება).

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისი ყოველად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პალლადის განკარგულებით ამ დიდს მარხვაში თბილისის ყველა მართლ-მადიდებელ ეკლესიებში, ყოველ კვირა დღეს, საღამობით ღვთის მსახურების გარეშე საუბრები იქნება გამართული ქრისტიანობრივს სარწმუნოებაზე და კეთილს-ზნეობაზე.

*
* *

ბაზეთ «Ивэрия»-ში ვკითხულობთ: «თებერვლის თთეის 14 სოფ. ძევს შიომღვიმის მონასტრის ბორანი აკურთხა ეკლესიის წესისა ებრ შიო-მღვიმის მონასტრის წინამძღვარმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. ხსენებული ბორანი თაეის ჯაჭვით, რომელიც ინგლისიდამ გამოიწერეს, ეს-ორმოც-და-ათ თუმნამდე დაუჯდა ეპისკოპოსს. ურმები, საქონელი და ქვეითი ხალხი დაუბრკოლებლად დაიარება მტკვარზედ ბორანით».

Oუ რამდენათ სასარგებლო იქნება ეს ბორანი შიო-მღვიმის მონასტრის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მკვიდრთათვის, ამას, ვგონებთ, განმარტება არ ეჭირება. ბარდა ამისა ეს ბორანი მლოცველებსაც გაუადვილებს მისვლა-მოსვლას მონასტერში, რაისაგამო მონასტერი ნივთიერის მხრით გაუმჯობესდება. ეს ყოველად საქები ქველ-მოქმედება პირველი არ არის ყოველად სამღვდელო ეპისკოპოსის ალექსანდრეს მხრით.

*
* *

ტყიბულის რკინის გზაზე, ამ თთვის პირველიდამ მატარებელი მუდამ დღე ივლის. ტყიბულიდამ მატარებელი გამოა 6 საათსა და 50 წუთზე, და მოვა ქუთაისში 10 საათსა და 21 წუთზე. ქუთაისიდგან ტყიბულში გავა ნაშუადღევის 2 საათზე და 39 წუთზე და ტყიბულში მივა 5 საათსა და 32 წუთზე.

* *
*

მისს მაღალ ყოველად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოს, მთავარ-ეპისკოპოსს პალლადის განზრახვა აქვს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა და მათ უავგუსტოეს ძეთა 17 ოქტომბერს რკინის გზაზე მომხდარ განსაცდელისაგან სასწაულებრივ გადარჩენის სახსოვრად აღაშენოს სამლოცველო თბილისის რომელიმე გამოჩენილ ადგილს და შემდეგ ეკლესია წმ. მოციქულთ-სწორის, ქართველთ განმანათლებელის ნინას სახელზე.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოდგან გვწერენ: ამ დღეებში მისი ყოველად უსამღვდელოესობის ბურია-სამეგრელოის ეპისკოპოსის ბრიგორის განკარგულებით ადგილობითი ეპარქიის საეკლესიო სამრევლო სკოლების რჩევამ დაურიგა მისდამი რწმუნებულ სკოლების მაწავლებლებს დავთრები, რომლებშიაც დღეიდამ უნდა იწერებოდეს ყოველი დღის გაკვეთილი, მიცემული მასწავლებლებისაგან. იმავე დავთრებში უნდა ინიშნებოდეს, თუ რომელი ზედამხედველი რამდენჯერ იყო მისდამო რწმუნებელ სკოლაში. ეარეთი განკარგულება, ჩვენის აზრით, ძალიან სასარგებლო იქნება. ამის შემდეგ მასწავლებლებიც უფრო მუყიათად მოჰკიდებენ თავიანთ მოვალეობას ხელს და ზედამხედველებიც ხშირად დახედვენ ხოლმე სკოლებს.

***

2 მარტს, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ტახტზე ასვლის დღეს სილნაღის ყველა მართლ-მადიდებელ და სომხის ეკლესიებში სამღვდელოებას წირვის შესრულების შემდეგ გადაუხადია სამადლობელი პარაკლისი. ამ სადღესასწაულო დღისათვის მართლ მადიდებელ წმ. მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დანიშნული ყოფილა საეკლესიო პარადი. წირვაზე და პარაკლისზე დასწრებია ადგილობითი მთავრობის ყველა წარმომადგენელნი, აუარებელი ხალხი და სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფენი. ქალაქი დილიდამ მშვენივრად ყოფილა მორთული ბაირახებით. სილნაღის მართლ-მადიდებელი ეკლესიის მახლობლად, ადგილობითი მაზრის უფროსის წინადადებისაებრ, აკეთებენ მშვენიერს ბაღს სწორეთ იმ ადგილას, სადაც ბრძანდებოდენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი საქართველოში მოგზრძანების დროს. ბაღს უნდა დაერქვას სახელად ალექსანდროვის ბაღი. გარდა ამ ბაღისა, სილნაღში ბოდბისის წმ. ნინას მონასტრიდამ დაწყებული მთელ იმ გზაზე, რომლითაც მოგზრძანდენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, აშენებენ მშვენიერ ხეივანს, ხეების დარგვა, თითქმის, კიდეც გაუთავებიათ ანაგის ხეობამდის. ამავე გზაზე უნდათ დაასვენონ ხატი წმ. ნინასი, ქართველთ განმანათლებელისა, ნიკოლოზ სასწაულთ-მოქმედისა და ღვთის მშობლისა, ივერიის მფარველისა, მათი იმპერატორებით უდიდებულესობათა 17 ოქტომბერს 1888 წ. რკინის გზაზე მომხდარ განსაცდელისაგან სასწაულებრივ გადარჩენის სახსოვრად.

***

დღეს თითოეულს ეპარქიაში არსებობს საეკლესიო სამრევლო სკოლების ეპარქიალური რჩევა. მაგრამ რადგან დაშორებული სოფლების საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის ძნელია ყოველი საჭიროებისა და საეჭვო კითხვის განსამარტებლად საკათედრო ქალაქში ჩასვლა რჩევის თავმჯდომარესთან მოსალაპარაკებლად და მასთან რჩევასაც არ შეუძლიან ჯეროვანი ზედამხედველობა იქონიოს დაშორებული სოფლების საეკლესიო სკოლებზე, ამიტომ უწმიდესმა სინოდმა ნება მისცა ეპარქიის მღვდელ მთავრებს, რომ მათ საეკლესიო სკოლების ეპარქიალურ რჩევების განყოფილებანი დაარსონ მაზრის ქალაქებშიაც. ამ რჩევებში გარდა სასულიერო წოდების პირთა უნდა დანიშნონ საერო წოდების პირნიცა. ამგვარი განყოფილებანნი უკვე დანიშნა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა თავის ეპარქიაში. შორაპნის მაზრაში ეპარქიალურ რჩევის განყოფილების თავმჯდომარედ არის დანიშნული ბლაღოჩინი დეკანოზი დ. ღამბაშიძე; რჩევის წევრებად — ბლაღოჩინი მღვდელნი ივლიანე აბესაძე და ლუკა ჭიპაშვილი, ადგილობითი საერო სკოლების ინსპექტორი და მომრიგებელი შუამდგომელი ბ. ლ. ავალიანი. რაჭის მაზრაში რჩევის თავს მჯდომარედ დანიშნულია ბლაღოჩინი დეკანოზი აღ. ბეოერგობიანი, ხოლო წევრებად—ბლაღოჩინი სხირტლაძე და მღვდელი მიხეილ ბაეაშელიშვილი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე

სიტყვა,

ჯვარის თაყვანის მცემლობის კვირიაკესა ზედა.

ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯვარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა (გალ. 6, 14).

«ამა რითი მოაქვსთო თავი,—იფიქრებს, ვისაც არ ესმის მოციქულის ქადაგება ჯვარზე, —ჯვარის ხით, საზიზღარის ხით, რომელზედაც სიკვდილით სჯიდენ ავაზაკთა, წყევისა და კრულვის ხითა?» არ მოგცემ პასუხს შენ, უმეცარო, რომელსაც არ გესმის სიტყვა ჯვარზე. მართალია, ამ ხემ გააბოროტა ებრაელნი, რომელნიც ამაოდ თხოულობდენ სასწაულთა იქ, სადაც ცხადად ჩნდა ძლიერება ღვთისა. ჯვარი შეადგენ და სირეგვნეს და სისულელეს ელინთათვის და ამა საუკუნის ყველა ბრძენთათვის, რომელთაც თავისი ცრუ სიბრძნისა გამო არა სწამდათ ღმერთი, პირიქით მოწოდებულთათვის, როგორნიც არიან იუდეველები, აგრეთვე ელინთათვის და ყოველთა ცხოვნების მაძიებელთათვის—ჯვარი არის «ძალა ღვთისა და ღვთისა სიბრძნე (1 კორინ. 1, 24), ეს ისეთი ღვთაებრივი საუნჯეა, რომელიც შეიცავს მთელს ჩვენს ჭეშმარიტს, უმაღლეს სიკეთეს და ნეტარებას. მსურს, სულო მორწმუნევ, იხილო ესე? ყურად იღე და ისწავე.

«ჯვარი, სწავლისაებრ წმიდა ეკკლესიისა, არის მცველი მთელი მსოფლიოსი, ჯვარი არის მშვენება ეკკლესიისა, ჯვარია სიმტკიცე მეფეთა, ჯვარია მორწმუნეთა სიმტკიცე, ჯვარია ანგელოსთა დიდება და ეშმაკთა ლახვარი.

*) თქმულ არს საქართველოს ეგზარხოსის, მთავარ ეპისკოპოსის პალლადის მიერ.

ჯვარია მფარველი მთელი მსოფლიოსი. რისი მომლოდინე უნდა ვყოფილიყავით ჩვენ ღვთისგან, შემდეგ ჩვენ წინაპართა ადამისა და ევის შეცოდებისა, შემდეგ ჩვენ მიერ ღმერთთან კავშირის დარღვევისა? დაუსაბამო უცვალებელი კანონი ღვთის მართლ-მსაჯულებისა, რომელიც სჯის ცოდვილთა, მოითხოვდა ჩვენგან ღმერთთან შერიგების შესაფერს მსხვერპლსა, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო ღვთის რისხვის განქარვება, და ღვთაებრივი მართლ-მსაჯულება მზად იყო და სიმართლეც მოითხოვდა მივცემოდით ჩვენ საუკუნო სასჯელს. მაგრამ ღვთის-სახიერებამ, რომელიც მარადის მოწყალეა ჩვენი, თვით ცოდვაში შთავარდნის დროსაც, შეაკავა ჩვენს თავზე ჩამოკიდული ხრმალი მრისხანებისა და მძვინვარებისა. რითღა დააკმაყოფილა მან განრისხებული ღვთის მართლ-მსაჯულება? რა სახსარი მოიპოვა მან ჩვენდა საცხოვნებლად? «ჰოი სიღრმე სიბრძნისა, და კაცთ-მოყვარებისა ღვთისა!» (რომაელ. 11, 33) და ეს მსხვერპლი, რომლის სისხლით განბანილ არიან ყოველივე ჩვენი უსჯულოებანი, შეწირულ არს ჯვარზე! აქ მოკვდინებულ არს ცოდვა ყველა მისი საზარელი შედეგებით. აქ ზეციურმა მადლმა, რომელიც იხსნის კაცსა, განაქარვა ხელწერილი, რომელიც ედვა კაცთა ნათესავსა ზედა; აქ მართლ-მსაჯულება და მადლი შეერთდენ და სრულად დაკმაყოფილდენ, სიტყვისაებრ ფსალმუნთ მგალობლისა: «წყალობა და ჭეშმარიტება შეიმთხვინეს; სიმართლემან და მშვიდობამან ამბორს-უყვეს» (ფსალ. 84, 10). და ჩვენ, რომელნიც მოვკვდით სამოთხის ხით, განცხოველებულ ვიქმნენით ჯვარის ხით; განდევნილნი სამოთხის სიტკბოებისაგან გაუგონლობისათვის,—ჯვარით, როგორც კიბით, ავდივართ ზეცად დიდების სასუფეველსა შინა.

გარდა ამისა, როდესაც იუდეველებმა, შურითა და ბოროტებით დაბრმავებულებმა, შეასრულეს უსაშინელესი ბოროტმოქმედება, ჯვარს აცვეს უფალი დიდებისა, როდესაც თვით ბუნებამ ველარ მოითმინა ჭვრეტა ჯვარცმულისა—ყოველთა ქმნილებათა მპყრობელისა დაშემოქმედისა და შესცვალა თავისი წესი, მაშინ საკვირველი მოვლენანი მისნი (ბუნებისა),—არა ჩვეულებრივი დაბნელება მზისა, მიწის ძვრა, განრღვევა კლდეთა, ნუ თუ არ მოასწავებდენ მსოფლიოს საყოველთაო დამხობას და არ მოითხოვდენ ზეციურ მართლ-მსაჯულებასა დასასჯელად საოცარი ავაზაკობისა—ღვთის მკვლელობისა, აღმოსაფხრობლად მთე-

ლის კაცობრიობისა, რომელმაც არ იწამა ღმერთი თვისი, აღიარებული თვით უსულო ბუნებისა მიერ? მაგრამ ჯვარმა, აღმართულმან ბოლგოთის მთაზედ, მორწყულმა მაცხოვრის სისხლითა, თითქო შეაკავა უკვე დარღვეული კავშირი ბუნებისა, და ვითარცა მსოფლიო ყოვლად გამწმენდელმა, ყოვლადმაცხოვნებელმან შერიგების მსხვერპლმა შეაჩერა ზეციური რისხვა და გარდაქმნა იგი მოწყალებად კაცთა მიმართ.

და დღესაც ეს ქვეყანა არსებობს და სცოცხლობს უეჭველად ქრისტეს ჯვარის ძალით. ღვთაებრივი სახიერება, რომელსაც «ნებავს ყოველთა კაცთა ცხოვნებაი და მეცნიერების ჭეშმარიტებასა მოსვლა (1 ტიმ. 2, 4),—ჭეშმარიტად წინათვე ხედავს, რომ ჯვარი აცხოვნებს კიდევ უმეტეს ხალხთა, ვიდრე აქომამდე, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან განათლებულნი ქრისტეს სწავლითა, და სახარება, თვით მაცხოვრის სიტყვისაებრ, მოეფინება ქადაგებით «ყოველსა დაბადებულსა (მარ. 16, 15; მათ. 26, 13). და- ჯვარი ქრისტესი აღმართება ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა.

«ჯვარია მშვენება ეკლესიისა». და აბა რა შეადგენს წმ. ეკლესიისათვის უმეტეს მორთულებას და სიქადულს, თუ არა ჯვარი ქრისტესი—ეს ნიშანი ცოდვის, სიკეთილის და ჯოჯოხეთის ძლევისა? ქვეყნიური მეფენიც კი თავს იქებენ მტრებზე გამარჯვების ნიშნებით და ძვირად აფასებენ მტერთაგან წართმეულ ალაფთა. ისრაილები ქადულობდენ იმ იარაღით, რომლითაც დავითმა ძლია და თავი მოჰკვეთა მედიდურს ბოლიათსა, და ისე ძვირფასათ მიაჩნდათ ის, რომ, ბოსაგონებლად ამ დიდებული ძლევა-მოსილებისა მტრებზე, ინახავდენ მას სჯულის კარავში (1 მეფ. 21, 9): როგორ არ უნდა ვიქადოდეთ და ძვირფასათ არ უნდა მიგვაჩნდეს ძლევა-მოსილი ჯვარი, რომლითაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ სძლია სულიერს ამა ბოლიათს და შემუსრა თავი გველისა მაცთურისა (დამ. 3, 15), რომელსაც უხაროდა ჩვენი წაწყმედა? როგორ არ უნდა ჩავსთვალოთ იგი ჩვენს უპირველეს სამკაულად და მორთულებად? ჯვარი ქრისტესი არის საძირკველი და გვირგვინი ქრისტეს ეკლესიისა. ჯვარი ქრისტესი ყოველგან და მარადის ამშვენებს ეკლესიის მორწმუნე შვილთა, იგი გულზე ჰკიდია ყველას.

«ჯვარი არის მეფეთათვის სიმტკიცე». ეს ჭეშმარიტება, გამართლებული მრავალთა მოვლენათაგან, გამოცხადებულია თვით ღვთის მიერ, რომელიც აღამაღლებს რქასა ცხებულთა თვისთა და განამტკიცებს კეთილ-მსახურთა მეფეებისა სკიპტრათა. მეფე ქონსტანტინეს, როგორც რჩეულს ჭურჭელსა, რომელსაც ნათელი ქრისტეს სწავლისა უნდა მოეფინა ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა, ღვთაებრივმა განგებულებამ უჩვენა სახსარი ჭეშმარიტი ქრისტეს ეკლესიის მტერთა ძლევისა; მტერთან შეტაკების წინ არა ჩვეულებრივი ჩვენება წარმოუდგა თვალთა მისთა და ყველა მასთან მყოფ მხედართა; ღვისით იმათ იხილეს ვარსკლავთაგან შედგენილი ჯვარი ზედ-წარწერით: «ამითი სძლევედე». შემდეგ მეფეს ძილში გამოეცხადა იმავე ჯვარით თვით ძე ღვთისა იესო ქრისტე და უბრძანა მას გაეკეთებია ჯვარისათვის დროშა, რომელზედაც გამოეხატა ჯვარი. ყველამ ვიცით, თუ რა ძლევა-მოსილებით ომობდა ეს კეთილ-მსახური მეფე: მან, როდესაც დაამხო ჯვარის ძალით მტერი თვისი და ქრისტეს სამეფოისა, აღმართა ჯვარი ყველგან თავის ერცელ იმპერიაში. შემდეგ ყოველთვისა და ყოველგან კეთილ-მსახურნი მეფენი სთვლიდენ და დღესაც სთვლიან უფლის ჯვარს მშვიდობის იარაღად, უძლეველ ძლევა-მოსილებად.

«ჯვარი არის მორწმუნეთა სიმტკიცე». რაში და როგორ განამტკიცებს მორწმუნეთა ჯვარი ქრისტესი. ყოველ განსაცდელსა შინა, რაიცა შეემთხვევის კაცს ქვეყანაზე, ყოველ ქველმოქმედების დროს, რომელიც შესაძლებელი არის ადამიანისათვის ყოველ ჭეშმარიტებაში, რაიცა კი საჭიროა ცხოვნებისათვის, ჯვარი განგვამტკიცებს მაგალითით, ზეციურის სწავლით, ძალითა მასზედ გამსჭვალულის ჯვარცმული ღვთისა. და აი აქ ძალა ქრისტეს ჯვარისა იხატება მთელის თავისი განუსაზღვრელის დიდებით.

ყველას, ვისაც კი ნებავს ცხოვნება ჯვარითა, ეტყვის მაცხოვარი: «რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უარ ჰყავთ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდგინ მე (მარკ. 8, 34). ჩვენ არ შეგვიძლიან ტვირთვა ქრისტეს ჯვარისა: ჯვარი ჭისი არის ჯვარი მთელი ქვეყნისა! ამიტომ თვითოეული თავისი ჯვარით შეუდგეს მას. საით უნდა მიმართონ? ბოლგოთის მთაზედ, ქრისტეს ჯვარისადმი. იქ შენ შეგიძლია არა თუ შეიმსუბუქო, არამედ დასდვა მთელი ტვირთი ჯვარისა შენისა. იქნება სულიერია შენი ჯვარი? იქნება შენ გტანჯავს ბრძოლა შენის ხორცისა და სულისა ერთმანეთშორის? იქნება შენ ხარ მოცული მწუხარებითა და მსჯავრით, რომელნიც გიხშავენ შენ ცხოვნების გზასა? წაიღე ეს ჯვარი ბოლგოთაზე, გაიარე გეთსამანიის ბაღში და შენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც დაინახავ იქ მაცხოვარს, მლოცველს ზეციური მამისადმი სისხლის ოფლითა, ილოცავ აგრეთვე შენც და იტყვი მასთან ერთად: «მამაო! არა ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ (ლ. 22, 42); და შენც აგრეთვე გამოგეცხადება ზეცით გამხნევებელი ანგელოსი. იქნება შენი ჯვარი ხორციელია? იქნება შენ გაწუხებს ბოროტება და დევნა ქვეყნისა? იქნება შენ ითმენ წყენას და დევნას კაცთაგან. მა ჯვარიც წაიღე გოლგოთაზე, დადექი იქ და ისმინე, რას უპასუხებს ჯვარცმული მაცხოვარი თავის ჯვარმცმელთა მათ გინებაზე და ლანძღვაზე: «მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან (ლ. 23, 34). როცა ამ სიტყვებს გაიგონებ, შენ მოისვენებ და ჯვარი შეგიმსუბუქდება შენ. იქნება დატვირთული ხარ შენ ცოდვებით, იქნება სინიდისი გაწუხებს? ეს მძიმე ტვირთიც მიიტანე ჯვართან და კეთილგონიერი ავაზაკისაებრ აღახვენ თვალნი შენნი ჯვარცმულისადმი და გულითადი სინანულით ღაღად-ჰყავ: მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა» (ლ. 23, 42),—და შენ გაიგონებ მისგან ნუგეშის ხმას, რომელიც აღგითქვამს შენ, არა თუ მოტევებას, არამედ სასუფეველსა, სადაც მასთან ერთად უნდა ნეტარებდე: «დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა შინა» (ლუკ. 23, 43). აი ზოგიერთი სანუგეშო და საკეთილო მოქმედებანი, რომელნიც შეუძლია მიიღოს კაცმა ჯვარზე ქადაგების ყურადღებით და გულითადი მოსმენით! უეჭველია, აქ არიან ისეთი ნეტარნი სულნიც, რომელნიც წინაშე ქრისტეს ჯვარისა მუხლ-მოდრეკილნი, ჰგრძნობენ თავიანთი მორწმუნე გულით უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა ჯვარზეცმის ტანჯვათა და მისი აღდგომის ზეციურ დიდებასა, და რომელნიც, ჯვარისაგან გამხნევებულნი, მზად არიან დღითი დღე უფრო და უფრო დიდი ღვაწლი მიიღონ თავის-თავზე მარხვისა და სინანულისა, უმეტესი მშვიდობა იქონიონ მოყვასთა შორის, უფრო დიდი ნუგეში დი სიმტკიცე იგრძნონ მწუხარებასა და ჯავრში, უკეთესად შეიგნონ თავიანთი ზნეობითი მდგომარეობა და უფრო გულ-მოდგინედ შეუდგნენ თავიანთი თავის გასწორებას და განვითარებას.

ჯვარი არის დიდება ანგელოზთა და ლახვარი ეშმაკთა. დიახ, ჯვარია მშვენება თვით ზეცისა. და ანგელოსნი, სიტყვისაებრ ეკკლესიისა, ატარებენ პატიოსანსა ხესა, კრძალ-ვით სდგანან გარეშე მისა და ყოველთა მორწმუნეთა მოუწოდებენ თაყვანისცემად. ანგელოსნი, რომელნიც ადიდებდენ უფალსა, ოდეს იგი იშვა ქალწული მარიამისაგან, ადიდებდენ ამ ჯვარს მისსა, ვინაიდგან ხედვენ ჯვარზე კაცის ცხოვნებას შესრულებულად. ეშმაკნი, ჩვენი ცხოვნების მტერნი, კაცთა წარმწყმენდელი ხითა განისმქვალებიან შიშითა, იმუსრებიან და უკუ იქცევიან, როდესაც ხედვენ ჯვარსა, რომლითაც აღვდგინა, აღესრულა და აღიბეჭდა ჩვენი ცხოვნება. საკმაოა მოვიგონოთ ამასთან წრფელის გულით და ღრმა მადლობით უფლისადმი, რომელმაც სიკვდილითა სიკვდილი დათურგნა. გავიმეოროთ ჩვენთვის სანუგეშო წმ. ეკკლესიის საგალობელი, რომელშიაც გარკვევით და ცხოვლად აღწერილია ტანჯვანი ჯოჯოხეთისა დამხობილის ჯვარის მიერ. «ჯოჯოხეთმა, იხილა რა გოლგოთაზე ჯვარი ცხოვრების—მომცემელისა, ხმა ჰყო ძალთა თვისთა, ვინ განმაწონა გულსა ჩემსა სამსჭვალი, მყისსა შინა ძელისა ლახვარმან, განგმირა და განვსქდები და შინაგანნი საცნობელნნი ჩემნი მელმიან და მწარედ განვილევი, ვიშთვები სულითა და ვიმძვლავრები აღმოგდებად ადამისსა შვილითურთ, რომელნი მომეცნეს მე, სულისა მიერ ურჩებისა, ამათ ძელისა მიერ შეიყვანებს მხსნელი კვალად სამოთხედ».

ქრისტე ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო! შენ მოგვანიჭე ჩვენ ჯვარი თვისი პატიოსანი, შეწევნად, ზღუდეთ და სიმტკიცედ გზასა ზედა ჩვენსა სასუფეველსა შინა ცათასა. ჩვენ, მოციქულისაებრ, ვიქადით ჯვარითა შენითა და გვედრებით შენ, რათა საშინელსა მჯავრსა შენსა მოგვანიჭო ჩვენ წყალობა და ცხოვნება კაცთ-მოყვარებისა შენისა ამა ჯვარსა ქვეშე. ამინ.

განცხადება.

ჩემდამო რწმუნებულს ჯრუჭის მონასტერში (იმერეთის ეპარქიაშია) მე მოვიწვიე გურიიდამ კაცი, რომელმაც ზედ მიწევნით იცის საეკკლესიო გალობა, ამისათვის ამ მონასტერში მოუწოდებ ყველა მედავითნეთა და ყმაწვილ კაცთა, რომელთაც კი სურთ შეისწავლონ ჩვენი საეკკლესიო გალობა. გალობის შესწავლის მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე დახელოვნდენ საეკკლესიო წიგნების კითხვასა და ტიბიკონში. გალობის და საეკკლესიო ტიბიკონის შესწავლის მსურველთ უნდა შემოიტანონ მონასტერში მარტო თავის სამყოფი საზრდო, ხოლო სწავლებისათვის ფული არავის არ გადახდება. მსურველთ შეუძლიათ მომმართონ პირადად მე მონასტერში.

ჯრუჭის პირველ კლასის მონასტრის
არქიმანდრიტი სიმეონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1889 წლისათვის ორკვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზედ“

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილთ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.		6 თვით «მწყემსი» 3 მ.	
— ,, ორივე გამოცემა 6 »		— ,, ორივე გამოცემა 4 »	
— ,, რუსული ,, 3 მ.		— ,, რუსული ,, 2 მ.	

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში სადოვის ქუჩაზე, მარკაროვის სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორებში.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით; Въ Квирилу, въ контору редакціи „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

შინაარსი: ოფიც. ფურც. საქართ. საექსარხოსოისა: მიწერილობა მართლ-მადიდებელის პალესტინის საზოგადოების თავ-მჯდომარისა საქართველოს ექსარხოსისადმი.—მუნ შეეშინა შიშისა, სადა იგი არა იყო შიში.— «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია.—წერილი რედაქტორთან.—სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენის პროგრამმა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა საქართველოის ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადისა ჯვარის თაყვანის მცემელობის კვირიაკეზე.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე.

Доз. цензурою, 14 Марта 1889 г.

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.